პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 205 (19646) ◆ შაბათი, 6 სექტემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 4 სექტემბერს გამართულ სხდომაზე განხილულ საშემოდგომო მინდვრის სამუშაოთა დაჩქარებისა და ზამთრის პირობებში შუშაობისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოთა მზადების დამთავრების გადაუდებელი ამოცანები.

აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შედეგად ბევრმა მეურნეობამ მოიყვანა კარგი მოსავალი და წარმატებით ამთავრებს მოსავლის ასაღებ სამუშაოებს. ახლა მკის ცენტრმა ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში გადაინაცვლა.

საშემოდგომო მინდვრის სამუშაოთა მთელი კომპლექსისა და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოთა ზამთრისათვის მზადების დროული და ხარისხიანი დამთავრება უმნიშვნელოვანეს საბალხო-სამეურნეო ამოცანადაა მიჩნეული. მის წარმატებულ გადაწყვეტას განსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის.

პოლიტბიუროს სხდომაზე გაინიხილეს კვებისა და გადამუშავებელი დარგებისათვის ტექნოლოგიური მოწყობილობის წარმოების შემდგომი გადიდების საკითხი. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს, კვების ინდუსტრიის მოწყობილობის შემქმნისა და სერიული წარმოების ათვისებისათვის პასუხისმგებელი სხვა სამინისტროებისა და უწყებების ყურადღება მიიპყრეს ამ საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის სამინისტრო ურიგდება დაბალი ტექნიკური დონისა და ხარისხის მოწყობილობის გამოშვებას, რაც არ შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მითითებებს იმის შესახებ, რომ საჭიროა ისეთი ტექნიკის წარმოება, რომელიც მსოფლიო დონეს შეესაბამება. პოლიტბიუროომ აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა დაჩქარდეს დიდმწარმოებლური, თანამედროვე ტექნიკით აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა უხვად მომარაგების პროგრამის გადაჭრა სასურსათო პროგრამის წარმატებული რეალიზაციის მიზნით. დასახულია შეიმუშაონ ისეთი მანქანების სისტემა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებში დავნერგოთ კვების პროდუქტების მიღების სასურსათო საქონლის დაფასოებისა და შეფუთვის დიდეფექტიანი ტექნოლოგიები. მოწყობილობის მწარმოებელ სამინისტროებს წინადადება შეიცალა უფრო აქტიურად გადავიდნენ ცალკეული მანქანებიდან კომპლექსური ავტომატური ხაზების გამოშვებაზე, არსებითად გაიუმჯობესონ მოწყობილობის ხარისხი, პარტიულ კომიტეტებს კი დაევალათ გააძლიერონ დასახული პროგრამის რეალიზაციისადმი კონტროლი.

მოიწონეს მთავრობის წინადადებანი იმის შესახებ, რომ 1987 წლის 1 იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდნენ სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს ქვეგანყოფები. გათვალისწინებულია, რომ ახალ პირობებში მუშაობისას სამინისტროს სანაოსნოები და საწარმოები თავიანთ შეცნიერულ-ტექნიკურ, საწარმოო და სოციალურ განვითარებას უზრუნველყოფენ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე. იზრდება მუშაკთა პასუხისმგებლობა და შრომის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებით მათი მატერიალური დაინტერესება.

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ვოლგის საავტომობილო ქარხანაში დაჩქარებით შეიქმნას მუშუბუქი ავტომობილების კონსტრუქციები, რომლებიც შეესაბამება მსოფლიო ავტომობილმშენებლობის პერსპექტიულ დონეს. დასახულია განხორციელდეს მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს უკვე მომდინარე ხუთწლედში ისეთი მაჩვენებლებიანი თანამედროვე ავტომობილების შეკუშავებას, რომლებიც არ ჩამოუვარდებიან საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს. ამ მიზნით გათვალისწინებულია შეიქმნას სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი საცდელ-სამრეწველო ბაზითურთ, რომელიც აღიჭურვება სპეციალური სახეობათა მოწყობილობითა და ხელსაწყოებით. მრეწველობის მომიჯნავე დარგების სამინისტროებს დაევალათ მოაწყონ მაღალი ტექნიკური დონის ავტომობილების წარმოებისათვის საჭირო მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის შემუშავება და გამოშვება.

პოლიტბიუროომ მოიწონა შედეგები ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვის საუბრისა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან დ. სოდნომთან. აღინიშნა, რომ ეკონომიკურ და სხვა დარგებში სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობის შინაარსისა და ფორმების შემდგომი გამდიდრებისათვის მუშაობა იმ მორიგებათა სულისკვეთებით, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ამასწინანდელ უმაღლესი დონის შეხვედრაზე, მთლიანად შეესაბამება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უცვლელ კურსს, რომელიც ითვალისწინებს სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური ურთიერთმოკეთეობის გაღრმავებისა და მისი ეფექტიანობის გადიდებას.

პოლიტბიუროომ მოისმინა ამხანაგ ი. კ. ლიგაჩოვის ცნობა ალ-ყირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, ცენტრალური კომიტეტის მუდმივი სამდივნოს ხელმძღვანელთან მ. შ. მესსადიასთან შეხვედრის შესახებ, რომელმაც გადასცა ალ-ყირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალური მდივნის შ. ბენჯედიდის პირადი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისადმი. გამოითქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ ნაყოფიერად ვითარდება სსრ კავშირისა და ალ-ყირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში, დადასტურდა, რომ საბჭოთა კავშირი უცვლელად უჭერს მხარს ალ-ყირის დამოუკიდებელ კურსს, სოლიდარობს ალ-ყირელ ხალხს იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ განიხილა აგრეთვე ეკონომიკური და სოციალური მშენებლობის, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისათვის გამიზნული საგარეოპოლიტიკური საქმიანობის ზოგიერთი სხვა საკითხი.

საქმემ გამოაჩინა

◆ **კომკავშირელი ელია** მაია გოგატიშვილი გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეცხოველეა. (მარცხნივ).

◆ **ზუგდიდის** რაიონის ლენინის ორდენოსანი ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის კოლექტივმა წელს გეგმით 4900 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფოს. მოწინავეთა შორისაა მექანიზატორთა კომპლექსური ბრიგადა. ყოველდღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებს მექანიზატორი კარლო ქობალია.

ვ. გენგიურის ფოტო.

მშვიდობა და შრომა განუყოფელია!

რესპუბლიკაში მიეწყო ერთიანი პოლიტდღე თემაზე „რეალიზმის, მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას — ხაყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა შეუპოვარი შრომით, სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებით, დისციპლინის განმტკიცებით, დიდი საზოგადოებრივი აქტიურობით“.

ერთიანი პოლიტდღე გახდა ლოგიკური გაგრძელება საქართველოში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში მოწყობილი ხალხმრავალი მიტინგების, კრებების, მანიფესტაციებისა, რომელთა მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ საბჭოთა ტელევიზიით გაკეთებულ განცხადებაში ჩამოყალიბებულ ახალ საშვიდობო ინიციატივებს. პოლიტდღის თემატიკამ, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ეს დოკუმენტი განსაზღვრავს, განაპირობა რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ნამდვილად საქმიანი, ღრმად დაინტერესებული საუბარი. მათ მთლიანად მოიწონეს ჩვენი ქვეყნის თანამიმდევრული და პრინციპული მიდგომა მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების პრობლემებისადმი და განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დამკვრელური, შთაგონებული შრომით უზრუნველყონ იმ სტრატეგიული ამოცანების შესრულებითი ამოცანების რეალიზაცია, რომლებიც პარტიის XXVII ყრილობამ დასახა სამინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

მშვიდობა და შრომა განუყოფელია! ასეთი აზრით იყო გამსჭვალული ყველა შეხვედრა, საწარმოებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების შრომითს კოლექტივებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და შემოქმედებითს ორგანიზაციებში, სასწავლებლებში რომ გაიმართა ერთიანი პოლიტდღის ფარგლებში. პოლიტმომზადებლების ბულეტენი დიალოგები, საუბრები მუშებთან და სოფლის მშრომელებთან, მეცნიერებთან და კულტურის მოღვაწეებთან თითოეულ მათგანს დაეხმარა გამსჭვალულიყვნენ მშვიდობის ბედისათვის უდიდესი პასუხისმგებლობით, ღრმად შეეგნოთ, რომ საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა უშუალოდ უკავშირდება ჩვენს ეკონომიკურ პოლიტიკას, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებას, ორგანიზებულობის გაძლიერებას ყველგან და ყველაფერში.

ერთიანი პოლიტდღის მონაწილეებმა ყოველმხრივ წარმოაჩინეს და გააანალიზეს სსრ კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივები, ჩვენი ქვეყნის გადაწყვეტილება განაგრძოს ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი მომდინარე წლის დამლევამდე, და ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ინიციატივებს შექმნილ სიტუაციაში, როცა საქმე ეხება თვით ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის არსებობას. მათ ერთსულოვნად გაიზიარეს აზრი, რომ ახლა ქვეყნად არ არის იმაზე უფრო მწვავე, შემაშფოთებელი საფიქრალი, ვიდრე ის, რომ საჭიროა აღიკვეთოს ბირთვული განადგურების საფრთხე, რომ დადგა გადამწყვეტი მოქმედების, გოსებისა და საღი აზრის უკიდურესი მობილიზაციის დრო. ერთსულოვანი იყვნენ ისინი იმის თაობაზეც, რომ ყველა ქვეყნის მთავრობებმა და ხალხებმა, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ და ამერიკელმა ხალხმა ხელიდან არ უნდა გაუშვან კიდევ ერთი ისტორიული შანსი გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების გზაზე.

დღეს არ არის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ის, რომ თავიდან ავირიდოთ ომის საფრთხე, დავიცვათ მშვიდობა დედამიწაზე. მაგრამ მშვიდობა თავისთავად არ მოვა. ყველამ უნდა შეიტანოს წვლილი მის განმტკიცებაში. დიალოგის მონაწილეებს კარგად ჰქონდათ ეს გაცნობიერებული და ორგანულად უკავშირებდნენ განსახილველ საკითხებს შრომითი კოლექტივების, ოთვიანთი რაიონების, ქალაქების, რესპუბლიკის, ქვეყნის კონკრეტულ საქმეებს, ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშე დგას მეთორმეტე ხუთწლედის სასტარტო წლისა და მოლიანად ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების უთუო შესრულებაში. მშვიდობის ვახტზე აღწევენ წარმატებებს სოხუმელი ხელსაწყოთმშენებლები და ტყვარჩელელი მაღაროელები, ბათუმელი მეზღვაურები და ხელვაჩაურელი მეჩაიეები, ცხინვალელი და ქუთაისელი მანქანათმშენებლები, დუშელი მეცხოველეები და კახელი მევენახეები... ხაზგასმით აღინიშნავდნენ რა, რომ ყველა ჩვენი ზოგადპოლიტიკური წარმატების საწინდარია მტკიცე ეკონომიკა წარმოადგენს, პოლიტმომხსენებლები ლაპარაკობდნენ, რომ საჭიროა გაიზარდოს მშრომელთა შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა, ამოქმედდეს მათი ენერგია და ინიციატივა, შემოქმედებითი ძიება სამშვიდობო პოლიტიკის გამარჯვების მიზნით.

ამასთან დაკავშირებით მიუკერძოებელი სკკ-ბაასი გაიმართა შრომის, საწარმოო დისციპლინის გაძლიერების, დიდმწარმოებლური შრომის უზრუნველყოფის, უმციერესი დანახარჯებით უკეთესი საბოლოო შედეგების მიღწევის რეზერვებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო იმას, რომ უნდა გაძლიერდეს ბრძოლა უპასუხისმგებლობისა და უყაირათობის, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის, ყოველგვარი ნეგატიური გამოვლინებების წინააღმდეგ.

ყურადღების ცენტრში იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარება, წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, შრომის მართვის, ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების დანერგვის საფუძველზე.

მშვიდობისა და აღმშენებლობის გეგმებს როცა განსაზღვრავდნენ, ერთიანი პოლიტდღის მონაწილენი გმოთქვამდნენ კონკრეტულ წინადადებებს ადამიანის ფაქტორის გაქტიურების შესახებ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქვეყნად მშვიდობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის, ყველაფერს იღონებენ, რათა ხორცი შეასხან სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, განამტკიცონ სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება.

ერთიან პოლიტდღეში მონაწილეობდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ბ. ვ. ადლეიბა, გ. ვ. გუმბარიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ნ. რ. საჯაია, ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები. (საქინფორმი).

სრულყოფენ ტექნოლოგიურ ციკლებს

მუშაობის ახალ რეჟიმზე გადავიდნენ თბილისის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის კერამიკული კომბინატის მშრომელები. ნაკადურ-კონვეიერული ხაზების ამოქმედებამ, რამაც არ მოითხოვა დამატებითი ფართობები და მუშახელი, მკვეთრად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და ხარისხი. მარტო მოსაპირკეთებელი ფილების საამქროში დანერგილმა სიახლემ უზრუნველყო პირობები იმისათვის, რომ დამატებით გამოუშვან 60 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია.

აღძრა რა კომბინატის მოდერნიზაციის საკითხი ადმინისტრაციის წინაშე, პარტიულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ყოველ საამქროში მუშა-მოსამსახურეებისაგან შექმნას სპეციალური ჯგუფები, რომელთა ამოცანას შეადგენს განსაზღვრონ წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის ძირითადი მიმართულებანი. სწორედ ამის საფუძველზე მუშავდება საწარმოს ტექნიკური განახლების კომპლექსური გეგმა.

კომუნისტთა მეცადინეობის შედეგია ნაკადურ-კონვეიერული ხაზების დანერგვა. მათი გამოყენების ეფექტიანობას მოწმობს შრომის ნაყოფიერების საგრძნობი ზრდა.

შრომითი ქრონიკა

ჩაი—86: აღმოვფხვრათ ჩამორჩენა

უკვე მესამე თვეა დასავლეთ საქართველოს რაიონებში გვალვა გრძელდება. ეს უარყოფით გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, კერძოდ, ჩაის ფოთლის კრეფის ტემპზე, ბუჩქების ვეგეტაციაზე.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ოპერატიული ცნობის თანახმად, რესპუბლიკაში ჩაის ალოობის დადგომიდან მოიკრიფა და დადასამუშავებლად ჩაბარდა 360.669 ტონა ჩაის ფოთოლი. წლიური გეგმა კი 550 ათას ტონას ითვალისწინებს. შარშანდელთან შედარებით განსხვავება შეადგენს 85.285 ტონას.

დარგში საქმის ვითარებას განმარტავს რესპუბლიკის სახაგრომრეწვის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების წარმოების სამმართველოს უფროსი გ. გვიჩია:

— ყველა მეჩაიეობის რაიონი პლანტაციებში პრაქტიკულად შარშანდელ ტემპს ჩამორჩება. ამის მიუხედავად, იმ მეურნეობებსა და რაიონებში, სადაც დიდი ორგანიზებულობა და დასციპლინა გამოავლინეს, სწორად გაანაწილეს რესურსები, კიდევაც შეძლეს რამდენადმე შეემცირებინათ განსხვავება. ასეთი რაიონებია ქედის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, ბაღდათის, ხობის, ფოთის, ალაგირის, ზესტაფონის, ტყიბულის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლაგოდეხის, ყვარლის, ბორჯომის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ბოლნისის, ხაშურის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონ

ინტენსიფიკაცია

გარდატეხის საწყისია მოდერნიზაცია

საუბარ მასალათა მრეწველობის სისტემაში შემავალი საწარმოების გამართულ მუშაობაზე უშალოდ არის დამოკიდებული მშენებარე ობიექტების დროული ამოქმედება. ამიტომ სავსებით გასაგებია გასულ ხუთწლედში რუსთავის ცემენტის ქარხნის ჩამორჩენით გამოწვეული შემფოთება. საწარმოს ქრონიკული ჩამორჩენის მრავალ მიზეზთაგან სპეციალისტები გამოყოფენ მოძველებული მანქანა-დანადგარების ტექნიკურ გაუმართობას, კადრების ხშირ დენადობასა და დისციპლინის შესუსტებას.

საჭირო იყო მთელი ძალების მობილიზაცია ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მეთერთმეტე ხუთწლედის შეოთხე წლის დამლევს შემუშავდა ქარხნის მოდერნიზაციის გეგმა-გრაფიკი, 1985 წლის პირველი კვარტალიდან კი ინტენსიურად შეუდგნენ მის განხორციელებას. კაპიტალურად შეაკეთეს №1 და №2 მბრეუნავი ღუმლები, რამაც საგრძნობლად გაზარდა მათი მწარმოებლობა და გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ცემენტის წისქვილების პარკის მუშაობის სრულყოფის მიზნით შეიდი მოქმედი აგრეგატიდან სამი მოლიანად განაახლეს, ქარხნის არსებობის 30 წლის მანძილზე პირველად ასწიეს ყველა წისქვილის ღერძები. ამან საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, გაადვილა აგრეგატების ექსპლოატაცია. წესრიგში მოიყვანეს ნედლეულის საამქრო მეურნეობა, რამაც თითქმის მთლიანად გამორიცხა შეფერხებანი ღუმლების ნედლეულით მომარაგებაში. შემბერავ მოწყობილობებში მთლიანად გამოცვალეს ცემენტის მიმწოდებელი მილები, თიხის კარიერზე ძველები შეცვალეს ახალი დიდმწარმოებლური მოქვეფავებით. ვერტიკალურ ავზებზე, რომლებიც ღუმლებს გადამუშავებულ მასას აწვდიან, დაიწყეს ახალი ტექნიკის დანერგვა, წესრიგში მოაყენეს მტვერსაჭერი მოწყობილობები, რამაც საგრძნობლად შეამცირა ატმოსფეროს გაჭუჭყიანება და პროდუქციის დანაკარგები.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა კოლექტივის წევრთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მუშახელის შენარჩუნებისა და კოლექტივის სტაბილიზაციის მიზნით საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების რაოდენობამ მილიონ მანეთს მიაღწია, საგრძნობლად გაიზარდა კოოპერაციული მშენებლობა. აიგო ცხრასართულიანი 126-ბინიანი საოჯახო საერთო საცხოვრებელი, გაიხსნა ნახევარფაბრიკატებისა და ხილეულსტენულის მაღაზიები, თონე, მეცამეტენტეთათვის ყოველწლიურად გამოიყოფა 50 მსუბუქი ავტომანქანა, ცხოური ავეჯი, მნიშვნელოვნად გაიზარდა ძირითადი პროფესიის მუშათა ხელფასები, გააიაფეს კოლექტივის წევრთა კვება.

სასიკეთო ძვრები მოხდა საწარმოში შრომის ორგანიზაციის სრულყოფის მხრივაც. მეთერთმეტე ხუთწლედში შრომის ბრიგადულ ფორმაზე უნდა გადაეყვანათ მუშათა საერთო რაოდენობის 65 პროცენტი, ფაქტობრივად ამ მაჩვენებელმა 78 პროცენტი შეადგინა. შრომის ბრიგადულ ფორმაზე გადასულთა 40 პროცენტი ს

ინფორმაციები
ფაქტები • მოვლენები

ერის საუნჯე



გამოვიდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მეათე ტომი. აი რა უთხრა საქინფორმს კორესპონდენტს ენციკლოპედიის მთავარმა რედაქტორმა, პროფესორ-აკადემიკოსმა **ირაკლი აბაშიძემ:**

— მეათე ტომი, თავის წინამორბედ ტომთა მსგავსად, აუწყებს ქართველი ერის დამოკიდებულებას მსოფლიო ისტორიისა და თანამედროვეობის ყველა მნიშვნელოვანი საკითხისადმი, მკითხველს აცნობს კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნას და კულტურის მონაპოვრებს, მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს. იგი ასახავს ჩვენი დიადი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს და ამ ფონზე უფრო დაწვრილებით აუწყებს ქართველი ერის გმირულ ისტორიულ წარსულსაც და საბჭოთა პერიოდის ბრწყინვალე მიღწევებსაც.

მეათე ტომში შევიდა სტატიები: უმაღლესი საბჭო (საქართველო და სსრ კავშირი), უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, უმაღლესი სასამართლო, უმაღლესი განათლება, უნივერსიტეტი... იგი განიხილავს ისეთ დიდმნიშვნელოვან მოვლენებს კაცობრიობის ისტორიაში, როგორიცაა ქვის ხანა, ფეოდალიზმი, ქრისტიანობა... მკითხველს აცნობს მთელი რიგი საბჭოთა რესპუბლიკების, ძველი და თანამედროვე ქვეყნების ისტორიას, ეკონომიკას, მეცნიერებას, კულტურას. წარმოდგენილია ქალაქები (ტოკიო, ტომსკი, ტრაპიზონი, ტუნისი, ფილადელფია, ფლორენცია, შანხაი და სხვა), გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა ბიოგრაფიები (ს. ტოლიატი, ფ. ტორეზი, ვ. ულბრიხტი, ს. შაუმიანი, ე. შევარდნაძე და სხვ.), მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, მეცნიერები, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს კაცობრიობის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში (ლ. ტოლსტოი, ა. ტუპოლევი, ი. ტურგენევი, მ. ფარადეი, ფ. ფელინი, ფირდოუსი, გ. ფლობერი, ლ. ფოიერბახი, უ. ფოლკნერი, ბ. ფრანსი, თ. ფალიანინი, ტ. ფეხენკო, უ. შექსპირი და ა. შ.). ამ ტომში განსაკუთრებით ვრცლად არის გაშუქებული მეცნიერების, ხელოვნებისა თუ ჩვენი პრაქტიკული მოღვაწეობის სხვადასხვა დარგი და პრობლემები (ტიპოლოგია, ულტრაბგერა, ურბანიზაცია, ეროლოგია, უსასრულობა, უწონობა, ფარდობითობის თეორია, ფერწერა, ფიზიკა, ფიზიოლოგია, ფილოლოგია, ფილოსოფია, ფინანსები, ფსიქოლოგია, ქანდაკება, ქიმია, შემეცნების თეორია და ა. შ.).

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია თავისი ტერმინ-სტატიების თითქმის მეოთხედს უთმობს ეროვნულ მასალას. ჩვენი მკითხველებისათვის ამ ტომშიც განსაკუთრებით ძვირფასი იქნება უნიკალური საენციკლოპედიო სტატიები: უდაბნო (არქიტექტურული ძეგლი), „ურმული“, „უსწორო კარაბადინი“, უფლისციხე, უჯარმა, ფაცა, ქართველები (ქართული ენა, ქართული დამწერლობა, ქართული ლამქარი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია), სტატიები, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის ღირსეულ შვილთა, ისტორიულ თუ თანამედროვე მოღვაწეთა ცხოვრებასა და მუშაობას.

მეათე ტომი ერთ-ერთი დამაგვირგვინებელი ტომია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისა და შეიცავს განმარტებას ტერმინ-სტატია „შინდარამდე“. ქართულ ენაზე განმარტებულია 55 ათასზე მეტი საენციკლოპედიო ტერმინი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს 80 ათას ხელმომწერს წიგნის თაროებზე „მთელი უნივერსიტეტი“ აქვს მოთავსებული.

ჩვენ, დღევანდელი თაობის ქართველ ენციკლოპედისტებს, წილად გვხვდა ბედნიერება მოგვეყვანა სისტემაში ჩვენი დიდებული წინაპრების ნამოღვაწარი, ხორცი შეგვესხა მათი ნაოცნებარი სათვის. და ეს მოხდა ისეთ მაღალ დონეზე, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველივე ტომმა საკავშირო კონკურსზე „წიგნი-75“, რომელსაც საზღვარგარეთელი ექსპერტებიც სჯიდნენ, პირველი პრემია დაიმსახურა საცნობიარო ლიტერატურის მრავალ წარმოდგენილ ნიმუშს შორის.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია დღეს ყველაზე პოპულარული, ყველაზე მნიშვნელოვანი და, ამიტომაც, პარტიისა და მთავრობის, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის საყოველთაო ზრუნვით გარემოსილი გამოცემაა ჩვენს რესპუბლიკაში.

ჩვენს უნიკალურ ტომეულებს დაგვირგვინებს მასთან ორგანულად დაკავშირებული საქართველოსადმი მიძღვნილი კიდევ ერთი ახალი საგანგებო ტომი. მალე დასრულდება ენციკლოპედია „თბილისის“ ერთტომეულზე მუშაობა. უახლოეს წლებში მოვამზადებთ და გამოვცემთ ქართული სინამდვილის ამსახველ სამტომეულს, რაზეც მუშაობა უკვე დაწყებული გვაქვს. მას მოჰყვება საენციკლოპედიო ლექსიკონის ერთტომეული. დაწყებულია და ძალას იკრებს დარგობრივი ენციკლოპედიების გამოცემის საქმე. უკვე ზმად არის და იბეჭდება „საქართველოს ძეგლთა აღწერილობის“ პირველი წიგნი.

მთელ ჩვენს კოლექტივს კარგად ესმის მის წინაშე დასახული ახალი დიდი ამოცანები და ყოველნაირად ეცდება ღირსი იყოს გაზრდილი მოთხოვნებისა, რომლებსაც პარტია და სამშობლო გვიყენებს ჩვენი ცხოვრების ამ ახალ ეტაპზე. (**საქინფორმი**).

„ბრძოლის“ საიუბილეოდ

ამ დღეებში ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სტენდი, რომელზეც წარმოდგენილია პირველი ქართული რევოლუციური არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „ბრძოლის“ ერთ-ერთი ნომრის ქსეროკოპია. ლენინური „ისკრის“ იდეების ამ თანამიმდევარი გამტარებლის გამოსვლის 85 წლისთავი აღინიშნება, როგორც ამიერკავკასიაში ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის ბრძოლის ისტორიის ღირსშესანიშნავი თარიღი.

აქ, მუზეუმის სტენდთან ეწყობა ლექციები და საუბრები ქართველი ისკრელების სახელოვანი რევოლუციური წარსულის, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საბრძოლო ორგანოს მომზადებასა და გამოცემაში მათი მონაწილეობის შესახებ. რსდმპ კავკასიის კავშირის პირველი ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, 1903 წლის მარტში „ბრძოლა“ თბილისში გამომავალ სომეხი სოციალ-დემოკრატების გაზეთთან „პროლეტარიონ“ გაერთიანდა ერთიან ორგანოდ — „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელიც ქართულად და სომხურად გამოდიოდა. იმას, თუ რას ნიშნავდა ამ რევოლუციური გაზეთის გამოცემა, მოწმობს ლენინური „ისკრა“, რომელიც მხურვალედ მიესალმა გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლას და დიდი მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნია ეს ფაქტი. (**საქინფორმი**).

მოვლენის ფონ

დროის ცოცხალი შეგრძნებით

თეატრალური თბილისი ელის აფხაზეთის მსახიობების ხელოვნებასთან შეხვედრებს. 9 სექტემბერს დაიწყება სოხუმის გამსახიურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული თეატრის გასტროლები. დასს უმასპინძლებს მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი, რომლის სცენაზეც ერთი ცვირის განმავლობაში სოხუმის თეატრი წარმოდგენს ექვს საუკეთესო ნამუშევარს — ტრადიციულ კლასიკით დაწყებულს და თანამედროვე დრამატურგიით დამთავრებულს. თბილისელებთან პირველი შეხვედრისათვის მსახიობებმა მოამზადეს კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“. საგასტროლო აფიშაშია ავრეთვე ა. ჩეხოვის „თოლია“, ა. ჩხაიძის „ვაცადებ დახურულად“, ე. რაძინსკის „მოხუცი მსახიობი ქალი დოსტოევსკის ცოლის როლზე“, ბ. შოუს „პიგმალიონი“ და უ. შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“.

ამ თეატრის მეტი წილი სპექტაკლების პუბლიცისტურობა, დინამიზმი, ორიგინალური სცენური გადაწყვეტების დაუცხრომელი ძიება იმ კომპონენტების სინთეზია, რომლებიც განაპირობებენ უცვლელ ინტერესს დასის შემოქმედებისადმი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ბ. ჯავახიშვილი** რომ ხელმძღვანელობს.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა:

— სამი წელი გავიდა საქართველოს დედაქალაქში ჩვენი ბოლო გასტროლების შემდეგ, თუ გამოვრიცხავთ ერთადერთ სპექტაკლს — „ვენეციელ ვაჭარს“, რომელიც შარშანწინ ჩამოვიტანეთ თბილისში. გამოჩენილი ქართველი რეჟისორის დიმიტრი ალექსიძის მიერ დადგმული ეს სპექტაკლი გულთბილად მიიღო მაყურებელმა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა თეატრის ცხოვრებაშიც და მაყურებლის გემოვნებაშიც. ჩვენი კურსი ახლა ის არის, რომ დავაყენოთ და გადავჭრათ თანამედროვეობის მნიშვნელოვანი პრობლემები სპექტაკლებში, რომლებიც სულიერად აღამაღლებენ ადამიანს, აქტიურ გავლენას ახდენენ მის ცხოვრებისეულ პოზიციაზე, ზნეობრივ სახეზე. ჩვენი მთავარი გმირია თანამედროვეობა, ვინაიდან ძველი ჭეშმარიტებაა, რომ კლასიკა ყოველთვის თანამედროვეა, საჭიროა მხოლოდ ნაწარმოებს აქტუალური ჟღერადობა მივანიჭოთ. სწორედ ასეთი პოზიციებიდან განვახორციელეთ ჩეხოვის, შექსპირის, შოუს პიესების მიხედვით დადგმები. რაც შეეხება ა. ჩხაიძის პიესას „ვაცადებ დახურულად“, იგი აყენებს დღეს ადამიანის ფსიქოლოგიის გარდაქმნის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს. ვიჩვენებთ რა ერთ-ერთ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში შექმნილ კონფლიქტურ სიტუაციას, მაყურებელს ვთავაზობთ ჩვენთან ერთად იფიქროს სინდისზე — ადამიანის სულის ყველაზე ფაქიზ კამერტონზე...

საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლა, მაყურებელთან, კოლეგებთან შეხვედრა ყოველთვის ახალ შემოქმედებითს იმპულსს გვანიჭებს, ჩვენთვის, ყველასათვის ნამდვილ დღესასწაულად იქცევა ხოლმე. ვფიქრობ, იმედს არ გავუცრუებთ თბილისელებს, ჩვენს ერთგულ და კეთილ მეგობრებს.

„ბრძოლის“ საიუბილეოდ

ამ დღეებში ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სტენდი, რომელზეც წარმოდგენილია პირველი ქართული რევოლუციური არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „ბრძოლის“ ერთ-ერთი ნომრის ქსეროკოპია. ლენინური „ისკრის“ იდეების ამ თანამიმდევარი გამტარებლის გამოსვლის 85 წლისთავი აღინიშნება, როგორც ამიერკავკასიაში ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის ბრძოლის ისტორიის ღირსშესანიშნავი თარიღი.

აქ, მუზეუმის სტენდთან ეწყობა ლექციები და საუბრები ქართველი ისკრელების სახელოვანი რევოლუციური წარსულის, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საბრძოლო ორგანოს მომზადებასა და „გამოცემაში მათი მონაწილეობის შესახებ. რსდმპ კავკასიის კავშირის პირველი ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, 1903 წლის მარტში „ბრძოლა“ თბილისში გამომავალ სომეხი სოციალ-დემოკრატების გაზეთთან „პროლეტარიონ“ გაერთიანდა ერთიან ორგანოდ — „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელიც ქართულად და სომხურად გამოდიოდა. იმას, თუ რას ნიშნავდა ამ რევოლუციური გაზეთის გამოცემა, მოწმობს ლენინური „ისკრა“, რომელიც მხურვალედ მიესალმა გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლას და დიდი მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნია ეს ფაქტი. (**საქინფორმი**).

დროის ცოცხალი შეგრძნებით

თეატრალური თბილისი ელის აფხაზეთის მსახიობების ხელოვნებასთან შეხვედრებს. 9 სექტემბერს დაიწყება სოხუმის გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული თეატრის გასტროლები. დასს უმასპინძლებს მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი, რომლის სცენაზეც ერთი ცვირის განმავლობაში სოხუმის თეატრი წარმოდგენს ექვს საუკეთესო ნამუშევარს — ტრადიციულ კლასიკით დაწყებულს და თანამედროვე დრამატურგიით დამთავრებულს. თბილისელებთან პირველი შეხვედრისათვის მსახიობებმა მოამზადეს კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“. საგასტროლო აფიშაშია ავრეთვე ა. ჩეხოვის „თოლია“, ა. ჩხაიძის „ვაცადებ დახურულად“, ე. რაძინსკის „მოხუცი მსახიობი ქალი დოსტოევსკის ცოლის როლზე“, ბ. შოუს „პიგმალიონი“ და უ. შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“.

ამ თეატრის მეტი წილი სპექტაკლების პუბლიცისტურობა, დინამიზმი, ორიგინალური სცენური გადაწყვეტების დაუცხრომელი ძიება იმ კომპონენტების სინთეზია, რომლებიც განაპირობებენ უცვლელ ინტერესს დასის შემოქმედებისადმი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ბ. ჯავახიშვილი** რომ ხელმძღვანელობს.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა:

— სამი წელი გავიდა საქართველოს დედაქალაქში ჩვენი ბოლო გასტროლების შემდეგ, თუ გამოვრიცხავთ ერთადერთ სპექტაკლს — „ვენეციელ ვაჭარს“, რომელიც შარშანწინ ჩამოვიტანეთ თბილისში. გამოჩენილი ქართველი რეჟისორის დიმიტრი ალექსიძის მიერ დადგმული ეს სპექტაკლი გულთბილად მიიღო მაყურებელმა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა თეატრის ცხოვრებაშიც და მაყურებლის გემოვნებაშიც. ჩვენი კურსი ახლა ის არის, რომ დავაყენოთ და გადავჭრათ თანამედროვეობის

ინფორმაციები
ფაქტები • მოვლენები

უბირთვო მსოფლიო დროის მოთხოვნაა

დედამიწაზე სიცოცხლისათვის

ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში კეთილი ნების ადამიანები იწონებენ ახალ საბჭოთა ინიციატივას

ბუდაპეშტი

რუმინეთი მოლიანად უკერს მხარს 2000 წლამდე ბირთვული შეიარაღების ეტაპობრივი მოსპობის პროგრამას, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა, მიესალმება მის გადაწყვეტილებას გააგრძელოს ბირთვული გამოცდების ცალმხრივი მორატორიუმი, განაცხადა რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ რუმინეთის მშრომელთა III ყრილობაზე გამოსვლისას. მან მხარი დაუჭირა ავრეთვე ბირთვული აფეთქების დაუყოვნებლივ შეწყვეტას და კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილებას.

ლონდონი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადება საბჭოთა ტელევიზიით საბჭოთა მთავრობის ახალი სერიოზული და მეტად პასუხსაგები ნაბიჯი, რომელიც გადადგა მშვიდობისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის. მე მჯერა, — თქვა ფელდმარშალმა, ბრიტანეთის ლორთა პალატის წევრმა ლორდი **კარვერმა** ახალი ამბების კორესპონდენტთან საუბარში, — რომ საბჭოთა ლიდერის მიერ შეთთავაზებულმა გზამ შეიძლება ბირთვული იარაღის გამოცდის საყოველთაო აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე მიგვიყვანოს.

კაცობრიობამ არ შეიძლება თავი ჩიხში მოიმწყვდიოს, რომლიდანაც გამოსვლა სულ უფრო გაძნელდება ახალი სახეობების იარაღის შექმნის კვალობაზე. საბჭოთა მორატორიუმი იძლევა ამ ჩაკეტილი წრის გარღვევის შანსს. სწორედ ეს არის ახალი საბჭოთა ინიციატივის არსი.

ნიუ-იორკი

უეიუორთდეთ საბჭოთა კავშირის მიერ კიდევ ერთხელ გახანგრძლივებულ ბირთვული აფეთქებების მორატორიუმს — ასეთი ლოზუნგით 19 სექტემბერს ვაშინგტონში გაიმართება საზოგადოებრიობის მასობრივი დემონსტრაცია. იგი ეწყობა გონივრული ბირთვული პოლიტიკის კომიტეტის, ბირთვული შეიარაღების გაყინვისათვის ეროვნული კამპანიის, ამერიკის მშვიდობის საბჭოსა და სხვა ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციების მოწოდებით.

„საბჭოთა კავშირმა ვადა გაუგრძელა მორატორიუმს და აახლა მხოლოდ რეიგანის ადმინისტრაციაზეა დამოკიდებული დაიდება თუ არა ხელშეკრულება ბირთვული გამოცდების ურთიერთაკრძალვის შესახებ“, — განაცხადა ბირთვული შეიარაღების გაყინვისათვის ეროვნული კამპანიის ვაშინგტონის განყოფილების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დოტი ბირდმა. იმისათვის, რომ აიძულონ ადმინისტრაცია გადასინჯოს თავისი პოზიცია მორატორიუმის საკითხში, ამერიკელი მშვიდობის მომხრენი აძლიერებენ კამპანიას, რათა ამერიკის კონგრესს მიაღებინონ სამხედრო ასიგნებათა შესახებ კანონპროექტის შესწორება, რომელიც აკრძალავდა ბირთვული გამოცდების პროგრამის დაფინანსებას, თქვა მან.

ქოპენჰაგენი

დანიის ახმა პროფკავშირულმა ლიდერმა „მშვიდობისათვის პროფკავშირული მოძრაობის“ ორგანიზაციის შეხვედრაზე ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის ძალისხმევას ბირთვული იარაღის გამოცდების შეჩერებისა-ამასთან მათ გულისწყრომით დაგმეს შეერთებული შტატების არაკონსტრუქციული პოზიცია, რომელიც საბჭოთა კავშირის მორატორიუმის გახანგრძლივების მიუხედავად, აწყობს ბირთვულ აფეთქებებს. პროფკავშირულმა მოღვაწეებმა მოუწოდეს დანიის მთავრობას აღასრულოს პარლამენტის უმრავლესობის ნება და საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურად იბრძოლოს ბირთვული გამოცდების სრული აკრძალვის მისაღწევად.

ანტანანარივუ

საბჭოთა კავშირის კეთილშობილურ ძალისხმევას ბირთვული კონფლიქტის თავიდან აცილების, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში გაგებით ეკიდებიან და მხარს უჭერენ დედამიწის ყველა კუთხეში, განაცხადა ანტანანარივუში მადაგასკარის ინფორმაციის, იდეოლოგიური ორიენტაციისა და კოოპერირების მინისტრმა პიერ სიმონმა, რომელმაც მიიღო საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის დელეგაცია. მშვიდობისათვის ბრძოლა თანამედროვეობის საკვანძო ამოცანაა, აღნიშნა მინისტრმა, სწორედ ამიტომ მადაგასკარი უსიტყვოდ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებას 2000 წლამდე მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის მოსპობის შესახებ და გადაწყვეტილებას ბირთვული გამოცდების ცალმხრივი მორატორიუმის 1987 წლის ივნისამდე განახანგრძლივების თაობაზე.

◆ **უეიციარია.**

მოლაპარაკების მეორე რაუნდი

ჟენევა. აქ დაიწყო ბირთვული იარაღის გამოცდის შეწყვეტის პრობლემის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების მეორე რაუნდი.

მოლაპარაკება მოიცავს საკითხების მთელ წრეს, რომლებიც ეხება კონტროლისა და ბირთვულ გამოცდებზე სრული უარის თქმის გზების ძიებას. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. მ. პეტროსიანცი, ამერიკისას — შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების საგენტოს დირექტორის თანაშემწე რობერტ ბარკერი.

მოლაპარაკების პირველი რაუნდი გაიმართა ჟენევაში ამა წლის 25 ივლისიდან 1 აგვისტომდე.

◆ **აშშ-იაპონია**

შეხვედრა ჰენგჰაზონში

ვაშინგტონი. პენტაგონში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის კ. უაინბერგერისა და აქ ჩამოსული, ეროვნული თავდაცვის სამმართველოს უფროსის ი. კურიჰარას მოლაპარაკება. ამერიკის სამხედრო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს კონსულტაციები „ნაყოფიერი“ იყო და „შეგობრულ ვითარებაში“ ჩაიარა.

დამთავრებული მოლაპარაკების შედეგების ასეთი განსაზღვრება შემთხვევითი არ არის. ამერიკის თანამდებობის პირნი არ ფარავენ კმაყოფილებას იმის გამო, რომ ი. კურიჰარამ დაადასტურა იაპონიის მთავრობის მზადყოფნა მორჩილად მისდიოს ფარვატერში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას აზიაწყნარი ოკეანის რეგიონში. ვაშინგტონის მოლაპარაკებაზე ტოკიოსა თავდაცვის სამმართველოს უფროსმა პენტაგონის შეფს აღუთქვა, რომ აპირებს „ყოველი ღონე იხმაროს“, რათა შეასრულოს იაპონიის კაბინეტის მიერ შემუშავებული იაპონიის სამხედრო პოტენციალის გადიდების ვეგმა, სამხედრო ხარჯების ყოველწლიურად ხუთი პროცენტით და მეტად ზრდას რომ ითვალისწინებს.

● **იაპონია**

მეცნიერთა პროტესტი

ტოკიო. ამერიკის „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა“ მნიშვნელოვნად ზრდის თერმობირთვული ომის საფრთხეს და განადგურებით ემუქრება კაცობრიობის ცივილიზაციას, მეცნიერთა მოვალეობაა წინააღუდგნენ „ვარსკვლავეთის ომების“ ავტედითი პროგრამის განხორციელებას — ეს ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელი მოაწერა იაპონიის 20 უნივერსიტეტის და ხუთი კვლევითი ცენტრის 447 ფიზიკოსმა. მათ ნაკასორეს მთავრობას მოსთხოვეს უარყოს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მოწოდებები კოსმოსის მილიტარიზაციის გეგმებში იაპონიის მონაწილეობის შესახებ.

ორი ქვეყნის სამხედრო უწყებების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე განიხილეს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამაში იაპონიის მონაწილეობის საკითხიც. მაგრამ, როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს აცნობა პენტაგონის ერთმა თანამშრომელმა, ამ პრობლემას არც ისე დიდი დრო დაეთმო, ვინაიდან არავის განსაკუთრებულ ეშკი არ იწვევს ის, რომ იაპონია უახლოეს ხანში ხელს მოაწერს შეთანხმებას „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ ფარგლებში სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ.

● **პაკისტანი**

ხელი იგდო თვითმფრინავი

ლონდონი. პაკისტანის უდიდეს ქალაქ ყარაჩის აეროპორტში შეიარაღებულ პირთა ჯგუფმა ხელი იგდო ამერიკის ავიაკომპანიის „პან-ამერიკენის“ თვითმფრინავი „ბოინგ-747“. იგი ახრულდება რეისს მარშრუტით: ბომბეი-ყარაჩი-ფრანკფურტი-ნიუიორკი.

როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, აფრენამდე ცოტა ხნით ადრე თვითმფრინავში შევარდა ოთხი უცნობი პირი, რომლებსაც უშიშროების სამსახურის ფორმა ეცვათ. თავდასხმის დროს მათ ატეხეს სროლა, დაჭრეს აეროპორტის ორი შუშაკი. ორი საათის შემდეგ თვითმფრინავიდან ავტომატის ჯერით ტერორისტებმა დაჭრეს აეროპორტის კიდევ ერთი მოსამსახურე. ამის შემდეგ, აღნიშნავენ თვითმხილველნი, სროლის ხმა გაისმა ლაინერის შიგნით და ასაფრენ ზოლზე გადმოაგდეს ერთ-ერთი დაჭრილი მგზავრი.

„ბოინგში“ იმყოფება 300-ზე მეტი მგზავრი. მფრინავებმა და თვითმფრინავის შტურმანმა თავდასხმის დროს მოახერხეს ლაინერიდან გამოსვლა კაბინის ფანჯრის მეშვეობით. თავდამსხმელები მოითხოვენ, რომ ისინი კვიპროსზე წაიყვანონ. ამჟამად ავიალაინერი და ყარაჩის აეროპორტი გარშემორტყმულია უშიშროების ძალებითა და ჯარის ნაწილებით.

ზრუნვით

საქართველოში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, სწრაფი ტემპით ფართოვდება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის კერების ქსელი. 30 ბავშვთა სანატორიუმს, რომლებიც ამჟამად არის ჩვენს რესპუბლიკაში, მალე შეემატება კიდევ ერთი კარდიოლოგიური სანატორიუმი ლესელიძეში. დედათა და ბავშვთა ნეიროლოგიური პროფილის პანსიონატის მშენებლობა დაიწყო ურეკში. დამთავრდა სუხუმის ორგანოების სნეულებებით დაავადებულ ბავშვთა სანატორიუმის დაპროექტება. იგი აშენდება ბაკურიანში. დაგეგმილია აგრეთვე ბავშვებისათვის ურეკი გიური პროფილის სანატორიუმის აშენება საირმეში, ნეფროლოგიურისა — არხილოსკალოში. ბავშვთა და მოზარდთა სანატორიუმად გადაეთდება კურორტ ჯვის კომპლექსი. რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის შემდეგ ბავშვებს მოემსახურება დასასვენებელი სახლები „ნიავი“, „შუქურა“, „ციხისძირი“ და „ეფერება“ ქობულეთის რაიონში, პანსიონატები „პლატო“ და „კეჩხობი“ ბორჯომში.

ასეთია რესპუბლიკის ბავშვთა კურორტებისა და დასვენების ზონების განვითარების ზოგიერთი პერსპექტივა. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ამ მიმართულებით ღონისძიებანი განიხილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფის, დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხთა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიების სხდომაზე.

აღნიშნეს რა, რომ ბოლო წლებში რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება ბავშვთა სამკურნალო-გამოჯანსაღებელი ობიექტების განვითარებისათვის, დეპუტატებმა მთელი ყურადღება მიაპყრეს არსებულ ნაკლოვანებებს. „ეერძოდ, საქმე ეხებოდა იმას, რომ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს ბავშვთა სანატორიუმებისა და პანსიონატების არსებული ქსელი, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განსაკუთრებით დაბალია ფსიქონევროლოგიური, საუშლის მოსანელებელი ორგანოების, საყრდენ-სამოძრავებელი სისტემების, თირკმელებისა და ნეფროლოგიური სნეულებებით დაავადებული ბავშვების მკურნალობისათვის საჭირო საწოლებით უზრუნველყოფა. რესპუბლიკაში საერთოდ არ არის დერმატოლოგიური პროფილის ბავშვთა სანატორიუმები, არ არის მოგვარებული დიაბეტისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის სხვა ფორმების მკურნალობა, მხოლოდ 30 პრაცენტით აკმაყოფილებს ბავშვთა მოთხოვნებს პიონერთა ბანაკებს, ოჯახური დასვენების გამოჯანსაღებელი ბაზების საწოლების ფონდი. ნაკლოვანებანია სანატორიუმებში ბავშვთა მკურნალობისა და დასვენების, მომსახურების, კვების ორგანიზაციაში.

კომისიებმა, რომლებმაც კომპლექსურად გააანალიზეს საქმის ვითარება სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად, რეკომენდაცია მისცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ აღგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი ბავშვების მკურნალობისა და დასვენების ობიექტების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. შესაბამისი რეკომენდაციები მიეცათ საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის საბჭოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, სახაგრომრეწეს, რესპუბლიკის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარემ შ. ხანანაშვილმა. (**საქინფორმი**).

● ●

გაეცნენ საქართველოს

რამდენიმე დღეს საქართველოში სტუმრად იყო საბჭოთა კავშირში დასასვენებლად ჩამოსული პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა ჯგუფი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ანჯეი ვასილევსკის მეთაურობით.

სტუმრებმა დაათვალიერეს რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადღესასწაულო რიტუალების სასახლეში. მათ იმოგზაურეს მცხეთაში, გორსა და თელავში, რომლის დროსაც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა ჯგუფი ეწვია საზოგადოებრივ შეურნეობებს, შეხვდა სოფლის მშრომელებს, გაეცნო ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

4 სექტემბერს პოლონეთიდან ჩამოსული სტუმრები მოსკოვს გაემგზავრნენ. თბილისის აეროპორტში ისინი გაეცილნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ეზუგბაია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ რ. გოგოლაძემ. (**საქინფორმი**).

ბაკურიანი

ბაკურიანი ორმოცდაათი წლის წინათ გამოვიდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდების დაწესების შესახებ“. პირველთა შორის, ვისაც მიენიჭა ეს საპატიო წოდება, იყვნენ აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე — ორი დიდი შემოქმედი, რომლებმაც ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს. ისინი საბჭოთა ხალხო არტისტები იყვნენ ამ სიტყვის პირდაპირი და ღრმა მნიშვნელობით. მათმა ხელოვნებამ, რომელმაც ათასობით მაყურებლის სიყვარული და აღიარება მოიპოვა, შეითვისა თავისი დროის განმასხვავებელი ნიშნები და პათოსი.

არსენა, ანზორი, ივანე მრისხანე, ოტელო — ხორავა, კლავდიუსი, ახმა, იაგო, მეფე ლირი, ფრანც მოორი — ვასაძე. ეს მონუმენტური სახეები შექმნეს ბრძენმა, მგზნებარე მხატვრებმა, და მოქალაქეებმა. ისინი დღესაც ჩვენთან არინ, ცოცხლობენ ჩვენს ხსოვნაში, უდიდეს წვლილში, საბჭოთა სცენურ ხელოვნებაში რომ შეიტანეს, ისინი პირველები იყვნენ...

მას შემდეგ განვლილი ხუთი ათწლეულის განმავლობაში ქართულმა კულტურამ, რომელიც განგრძობს, ავითარებს და ამრავლებს თავის საუკეთესო ტრადიციებს, არნახ

ბუნება—სიცოცხლის კარი

„ჩვენ ბუნებაში ვართ—იგი ჩვენშია, ცოცხალნიც მისნი ვართ და მკვდარნიც“

19

ვაჟა-ფშაველა

საქართველოში მებადურობა, მეთევზეობა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო დარგია. მას ისტორიაც უძველესი აქვს. ანტიკური ეპოქის ავტორები თუ ქართლის ცხოვრების მემატიანენი შავ ზღვაში, ჩვენს მდინარეებსა და ტბებში თევზის სიმრავლეს მიუთითებენ, „და იპყრეს ორაგული, თეთრიერ კალმახისა და სხუა თევზთა, მას ერთსა დღესა შ“ (ანუ 900), შენიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი, როცა ქციამტკვრის შუამდინარეთში მორადირე და მოთევზავე მეფე ვახტანგ მეექვსის ერთადერთი დღის ნადავლს (1704 წ.) წარმოგვიჩენს, გასაკვირი არ არის, რომ ქართული ხალხური კულინარია თევზეულის ასევე მრავალ კერძს ითვლის.

ჟურნალისტები **ალეკო ბაბელაშვილი** და **გივანჯი მანია** თევზის, თევზაობისა და ავთევზაობის საკითხებს რედაქციის დავალებით გულდასმით სწავლობდნენ. გთავაზობთ მათ საუბარს „საქშავზღვათევზმეწინის“ სამმართველოს უფროსთან **როლანდ ჩარგეიშვილთან.**

— **პატივცემულო როლანდ, „საქშავზღვათევზმეწ ნ ს“, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, რესპუბლიკის ბუნებრივ წყალსატევებში თევზის მოშენება-გამრავლება ავალია...**

— თევზის ხელოვნურ მოშენებას მსოფლიოში ყველგან დიდი ყურადღება ექცევა, ამის ნადრო, **რომ ეგრეთ წოდებული სამოყვარულო თევზჭირის მიმდევარი ათასეულები მონადირეთა და მეთევზეთა კავშირში ალირიცხვაზე დადგნენ, ჰქონდეთ სათანადო სიბუთი, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მდინარეთა და წყალსატევთა დაცვა-გაჯანსაღება-გათევზიანებაში, და მერე ითევზონ კიდეც, როგორც წესი და რიგია, ითორემ რა სდება, მიწათმოქმედთა ენით ერომ ვთქვათ, როცა არის ხვნა, თესვა, მარგვლა, ნადი თუ მამითადი, ეს ჩვენებური მოყვარულები ჩრდილში მხარეთქმაზე წვანან და ნებიერობენ, ხოლო დაიწყება თუ არა სეზონი, პირველნი მირბიან იქ, სადაც უსვი მოსავალია...**

— სწორი შენიშვნაა. სამოყვარულო თევზჭერა ადამიანის ფიზიკური და სულიერი წრთობის, ანუ კულტურული დასვენების ერთ-ერთ საუკეთესო ფორმად არის აღიარებული. ამავე დროს იგი ოჯახს ცოცხალის სახით ძვირფას პროდუქტს ჰმატებს. რაც შეეხება ამ დარგში აღრიცხვასა და წესრიგის დამყარებას, თუ გული გულობს, მონაკავშირს და ჩვენს სამმართველოს ფართო საზოგადოების თანადგომით ეს ხელეწიფებათ.

— **როგორ ფიქრობთ, საკმარისია თუ არა თქვენი, პრაქტიკოს მეთევზეთა კავშირი მეცნიერებთან, ინჟინერებთან, ეკოლოგებთან, და კერძოდ, რით გამოიხატება იგი?**

— არსებობს კანონი, მრავალი დადგენილება მრეწველობისა და მეცხოველეობის კომპლექსების და ფერმების ნარჩენებითა თუ ჩამდინარე წყლებით, ფრეთვი შხამქიმიკატებით, მინერალური სასუქებით გარემოს გაჭუჭყიანების თავდად აცილების ღონისძიებათა შესახებ, რომლის განხორციელება საყოველთაო საქმეა, მაგრამ უკანასკნელი შემოწმებით ცხადი გახდა, რომ ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სერიოზული დარღვევებია. დღეს ყველამ კარგად უწყის, რომ სოფლის მეურნეობა ქიმიზაციის გარეშე ვერ იქნება, მაგრამ შხამქიმიკატების, მინერალური სასუქების, სხვა ქიმიური პრეპარატების გამოყენებისას აუცილებლად უნდა დავიცვათ წესები; თორემ ამ პრეპარატების უწესოდ და დიდი რაოდენობით ხმარებამ მოწამლა მიწა, წყალი, ჰაერი, მცენარე, ნადირ-ფრინველი და თევზი რას გადაურჩებოდა. გარდა ამისა, ხშირად არ არის დაცული მათი შენახვის ნორმები, სასაწყობე ობიექტების მშენებლობისას გაუთვალისწინებელი რჩებათ სანიტარიული მოთხოვნები, იშვიათია, ეს საწყობები ტიპობრივი იყოს.

ყოველივე ამან განაპირობა, რომ ჩვენს სამმართველოში ჩამოგვეყალიბებინა სანიტარულ-თევზსამეურნეო სამსახური. ამ სამსახურში 16 ინსპექტორია, რომლებიც რეგიონების მიხედვით არიან განაწილებული. დღეისთვის ამ სამსახურს აღრიცხვაზე ჰყავს 1758 სამრეწველო და კომუნალური საწარმო, სოფლის მეურნეობის 525 ობიექტი, ფლოტის 286 ერთეული. საერთო ჯამში გამოვლინდა 1832 დარღვევა. მრავალი ორგანიზაციის თუ საწარმოს ხელმძღვანელს ადმინისტრაციული სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა. მარტო სარჩელის წესით ერთ წელიწადში ამოღებულია 129 ათასი მანეთი. ფულს, რა თქმა უნდა, ისევ გარემოს გაჯანსაღებას ვახმართ, მაგრამ ამას ხომ ის სჯობია, რომ რესპუბლიკაში ეკოლოგიური კულტურა ამაღლდეს.

მეორე და არანაკლებ საჭირბოროტო პრობლემაა ინერტული მასალების მოპოვების საკითხი. რესპუბლიკის მთავრობამ არა ერთი დადგენილება მიიღო შავი ზღვის სანაპიროდან, რესპუბლიკის მდინარეებიდან თუ ნარწყუალებიდან ინერტული მასალების თვითნებური მოპოვების აკრძალვის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდი თუ მცირე სამშენებლო ორგანიზაცია თავისი ნება-სურვილით წარმოებს სამშენებლო მასალის მოპოვებას. ცხადია, ყოველივე ეს დიდად აფერხებს თევზის მოშენების და მომრავლების საქმეს. ანგრევს ტოფობის ადგილებს, იღუპება მილიარდობით ქვირითი, იქმნება გამრავლების საწინააღმდეგო ხელოვნური ბარიერები.

— ბევრია შემთხვევები, როცა სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო დანიშნულების ობიექტები აჭუჭყიანებენ და წამლავენ მდინარეებს, ტბებს, წყალსაცავებს, ზღვას; განა ეს უფრო საშიში არ არის? ამასთან, შენდება ბევრი ისეთი ჰიდრონაგებობა, რომელიც პირდაპირ ხელს უშლის თევზის გამრავლებას.

— ბევრ ადგილას ეს ასეა. ბოლო ორ ათეულ წელიწადში ჩვენ ბევრი ჰიდროელექტროსადგური ავაშენეთ. ეს ენერგეტიკული ობიექტები ბევრ ადგილას ხელს უშლიან ანადგურებენ ბუნებრივ ბალანსს. ეს ობიექტები ბევრ ადგილას